რეზიუმე: წინამდებარე კვლევაში განხილულია შუასაუკუნეების პერიოდის ნაწარმოები *მელას რომანი*, სადაც წარმოდგენილია სასამართლო პრაქტიკები. მთავარი პერსონაჟი მელაა, სახელად რენარი: ის ცხოველიცაა და ამავე დროს ადამიანურობაც აქვს, ამიტომ მას უამრავი წარმატებული თუ წარუმატებელი თავგადასავალი გადახდება, რომლებსაც ხალხით თხზავენ სხვადასხვა ავტორები 1170-სა და 1250 წლებს შორის. ტექსტში წარმოდგენილი სასამართლო პროცესის რეპრეზენტაცია მკითხველში იწვევს სიცილს და ლიტერატურული ტექსტის კითხვის ან მოსმენის სიამოვნებას. ნაწარმოების კითხვისას, დაბრკოლებისა და ხარვეზების გარეშე გადავდივართ ერთი სამყაროდან მეორეში და ხშირად გვავიწყდება, რომ საუბარია ცხოველთა სამყაროზე, როგორც მაგალითად ლა ფონტენის იგავების კითხვისას, იმდენად ზუსტი და ცოცხალი ფერებით არის დახატული იმდროინდელი საზოგადოება.

საკვანძო სიტყვები: შუასაუკუნეების ლიტერატურა, მელას რომანი, სასამართლო პროცესი

Abstract: The present study focuses on a medieval work that represents judicial practice: the *Roman de Renart*. The protagonist is a goupil named Renart, a seductive and deceptive character that, between 1170 and 1250, the various authors like to multiply the adventures and misadventures attributable to both his animality

1. სტატია ფრანგულიდან თარგმნეს ვასილ კობახიძემ და ათინათ მამაცაშვილმა.

and his humanity. The text offers the reader the representation of a trial in due form, while at the same time provoking laughter and maintaining the pleasure of reading or hearing literary material. There are some sudden transitions from one world to another without interference, but we often forget that these are animals, as for example when we read La Fontaine's fables, so accurate and vivid is the portrayal of society.

Keywords: Medieval literature, Roman de Renart, Trial

კონფერენციის თემის შესაბამისად², დავინტერესდი შუასაუკუნეების პერიოდის ერთი ნაწარმოებით, სახელწოდებით *მელას რომანი*³, სადაც მრავალჯერაა წარმოდგენილი სასამართლო პრაქტიკები. მოთხრობების⁴ ამ კრებულის პროტაგონისტია მელა, სახელად რენარი. ის ცბიერებისა და დემონური გამჭრიახობის განსახიერებაა, მომხიბვლელი და მაცდური პერსონაჟი. რენარი ცხოველიცაა და ამავე დროს ადამიანურობაც აქვს, ამიტომ მას უამრავი წარმატებული თუ წარუმატებელი თავგადასავალი გადახდება, რომლებსაც ხალისით თხზავენ სხვადასხვა ავტორები. რომანი დაწერილია 1170 და 1250 წლებს შორის ოცამდე ავტორის მიერ, რომელთა დიდი უმრავლესობა უცნობია. ნაწარმოები შედგება მოკლე მოთხრობებისაგან (რომელთაც «ტოტები» [branches] ეწოდებათ). ტექსტი წარმოაჩენს ანტაგონიზმს

2. აღნიშნული ტექსტი წაკითხული იყო კონფერენციაზე «გამოძიება და პროცესი ლიტერატურასა და ხელოვნებაში», რომელიც ჩატარდა 2012 წლის 27-29 ივნისს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, ლორანსიენის უნივერსიტეტთან (კანადა) თანამშრომლობით. კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ ბელა წიფურია, მზალო დობტურიშვილი, ათინათ მამაცაშვილი, ინგა ლუტიძე [მთარგმნ.].

3. ტექსტის აკადემიური გამოცემებია: *Le Roman de Renart*, texte établi et traduit par Jean Dufournet et Andrée Méline, Paris, Garnier-Flammarion, 1985; *Le Roman de Renart*, texte établi par N. Fukumoto, N. Harano et S. Suzuki, revu, présenté et traduit par Gabriel Bianciotto, Paris, Le Livre de Poche, Collection «Lettres gothiques», 2005; *Le Roman de Renart*, édition publiée sous la direction d'Armand Strubel, avec la collaboration de Roger Bellon, Dominique Boutet et Sylvie Lefèvre, Paris, Gallimard, Collection «La Pléiade», 1998. «ტოტების» ნუმერაცია მიჰყვება ერნესტ მარტენის გამოცემას [Ernest Martin (1882-1887, réimp. 1973)], რომელსაც მოჰყვა ჟ. დიუფურნეს (J. Dufournet) და ა. მელინის (A. Méline) გამოცემა, საიდანაც ვიღებთ ტექსტის ციტატებს და თარგმანებს.

4. ტერმინი «roman» [რომანული] აქ განსაზღვრავს მხოლოდ გამოყენებულ ენას: რომანულ, შუასაუკუნეების ფრანგულ ენას.

ციხე-კოშკ მოპერტუის⁵ სენიორ მელა რენარსა და სენიორ იზენგრინს – მგელს, შორის. ამ ურთიერთსიძულვილის გამომწვევი მიზეზია ცოლ-ქმრული ღალატი და მელა რენარის მიერ მგელ იზენგრინის ცოლის, ძუ მგელ ჰერსანტის გაუპატიურება. სწორედ ამ დანაშაულის გამო დაიწყო ომი ორ მოწინააღმდეგეს შორის. მაგრამ პირადი შურისძიება საკმარისი არ არის, საჭიროა საჩივრის წარდგენა, სასამართლო პროცესის გამართვა და განაჩენის გამოცხადება. ამის გარეშე, სამეფოს მოიცავდა გამუდმებული ორთაბრძოლა სხვადასხვა რაინდებს შორის, რომლებიც ასეთი გზით ეცდებოდნენ სამართლის მოპოვებას.

მოთხრობების კრებული, სადაც ნაჩვენებია თუ რა ოინებს უწყობს მელა რენარი სხვადასხვა პერსონაჟებს, მკითხველის გამხიარულებას ცდილობს და ამას გარდა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სამართალს: სოციალური წესები დაირღვა, ამიტომ საჭიროა დამნაშავის გასამართლება და თუ მისი დანაშაული იურიდიულად დამტკიცდება – მისი დასჯა. XII და XIII საუკუნეების მიჯნაზე, კანონიკურმა და რომაულმა სამართალმა ნამდვილი განახლება განიცადა. ასევე, ჩვეულებითი სამართალი გამდიდრდა ხელნაწერი წყაროებით⁶. აღსანიშნავია, რომ ოცდაათამდე მოთხრობას შორის, რომლებიც შეადგენენ *მელას რომანს*, სამი მჭიდრო ურთიერთობაშია სამართალთან: რენარის გასამართლება (I), რენარის ესკონდიტი⁷ [Escondit] (Va), სასამართლო ორთაბრძოლა⁸ (VI). მაგრამ დანარჩენი მოთხრობებიც წარმოაჩენენ სასამართლო პროცესის დეტალებს: ექიმი რენარი კურნავს მეფეს, რათა თავიდან აიცილოს სასჯელი (X); სასჯელმისჯილი რენარი თავს წარმოადგენს ჯადოქრად, რათა მეფეს საცოლე მოუძებნოს (XXIII); სასამართლო ორთაბრძოლაში უპირისპირდება ჯერ ძალღ როონელს (XIII), შემდეგ მამალ შანტეკლერს (XVII). ასევე გვხვდება სასამართლო დავები: ნადავლის გაყოფა (XVI), საძოვრების საზღვრების გავლება (XX), ბრაკონიერობა (IX), კატა ტიბერტის დანაშაულები (XI), ლომის სასამართლო ოსტატებისთვის ჯამაგირის დაკლების განსახილველად (XVII). ამ «ტოტების» ავტორებს

5. მელა რენარი იპარავს ქათმებს, მაგრამ ასევე ცხოვრობს და მოქმედებს როგორც რაინდი.

6. იხილეთ სტატიები «კანონიკური სამართალი» / «Droit canonique» (Jean Gaudemet), «ჩვეულებითი სამართალი» / «Droit coutumier» და «რომის სამართალი» / «Droit romain» (Laurent Mayali) (*Dictionnaire du Moyen Âge*, 2002).

7. შუასაუკუნეების სასამართლოზე ბრალდებულის თავის გამართლების რიტუალური ფიცი [მთარგმნ.].

8. შუასაუკუნეების სასამართლოზე მომჩივანსა და მოპასუხეს შორის დაპირისპირების ერთ-ერთი სახეობა. ხდებოდა ორთაბრძოლაში დამარცხებულის გამტყუნება [მთარგმნ.].

დიდი ინტერესი აქვთ სამართლებრივი საკითხისადმი და ნათელია, რომ მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

პირველი «ტოტი», რომელსაც უფრო გვიანი პერიოდის გამოცემლებმა «რენარის გასამართლება» უწოდეს, ვრცლად⁹ წარმოაჩენს საქმის იმგვარ სასამართლო განხილვას, როგორც ის წარმართებოდა XII საუკუნის ბოლოს («ტოტი» I თარიღდება 1179 წლით). მასში ხდება სასამართლო პროცესის სათანადო რეპრეზენტაცია და ამავე დროს მკითხველში იწვევს სიცილს და ლიტერატურული ტექსტის კითხვის ან მოსმენის სიამოვნებას. მელას მიერ გაუპატიურებული ძუ მგლის პოზიცია ცხოველთა სამყაროს გვახსენებს, მაგრამ მისი შემდგომი მზაობა, რომ გაიაროს ორდალია, ამყარებს ინტერტექსტუალურ კავშირს როგორც «ტრისტან და იზოლდასთან» (რომელიც ოციოდე წლით ადრე დაიწერა), ასევე მეფე ნობლის კართან, სადაც იმ ეპოქის იურიდიული ნორმები (ლუი VII-ის მეფობის ბოლო პერიოდი) ზედმიწევნითაა დაცული. ტექსტის კითხვისას, დაბრკოლებისა და ხარვეზების გარეშე გადავდივართ ერთი სამყაროდან მეორეში და ხშირად გვავიწყდება, რომ საუბარია ცხოველთა სამყაროზე, როგორც მაგალითად ლა ფონტენის იგავების კითხვისას, იმდენად ზუსტი და ცოცხალი ფერებით არის დახატული იმდროინდელი საზოგადოება.

«რენარის გასამართლება» უპირველეს ყოვლისა ეხება რენარის მიერ იზენგრინის მეუღლის ჰერსანტის გაუპატიურებას და ცოლ-ქმრულ ღალატს.

შევაჯამოთ ფაქტები: ძუ მგლის მიწვევით მელა მის სოროში შეძვრა, შემდეგ წასვლამდე მან გაანადგურა მათი ბინა, შეურაცხყო და სცემა მგლის ლეკვები და მათ თავებზე მოშარდა. როდესაც იზენგრინი სახლში დაბრუნდა, მან არ მიიღო მეუღლის ახსნა-განმარტებები, რადგან დარწმუნებული იყო რომ ცოლი რენართან ღალატობდა. იზენგრინმა გადაწყვიტა მელას წინააღმდეგ შიდა ომი ეწარმოებინა, ანუ სასამართლოს გარეშე, სამართლებრივი ნორმების დაცვის გარეშე, პირადად ეძია შური. სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბა, როდესაც მგელმა და ძუ მგელმა, რომლებიც ოდნავ დაწყნარებულნი იყვნენ, შეამჩნიეს შორიახლოს მოსუნსულე რენარი¹⁰. იზენგრინი მას გაეკიდა, მაგრამ გზა აერია, ხოლო ძუ მგელი დაეწია რენარს, რომელმაც საკუთარ სოროში შეასწრო; ჰერსანტი შეეცადა თვითონაც შემძვრალიყო, მაგრამ

9. ხელნაწერის მიხედვით ეს «ტოტი» შედგება 1600-ზე ოდნავ მეტი რვაპარცვლიანი ლექსისგან, რაც მას საშუალო სიგრძის მოთხრობების რიცხვს მიაკუთვნებს.

10. ეს ეპიზოდი აღწერილია ხელნაწერ C-ში, ტოტი 1 (Fukumoto, Harano et Susuki, 121-129). (იხ. შენიშვნა 1).

სოროს საკმაოდ ვიწრო შესასვლელში გაიჭედა. მელა თავისი ბინის სათადარიგო გამოსასვლელიდან (როგორც მელას სოროებს გააჩნიათ), გაძვრება, დაინახავს ჰერსანტს ასეთ პოზიციაში და მას აუპატიურებს. სწორედ ამ დროს მოდის იზენგრინი და მას დანაშაულებრივ ქმედებაზე წაასწრებს. რენარი სთავაზობს თავისი უდანაშაულობის დამტკიცებას (ის მხოლოდ აწვებოდა ჰერსანტს, რათა დახმარებოდა სოროს შესასვლელიდან გამოძრომაში) წმინდა ნაწილებზე ფიცის დადებით, მაგრამ დათქმულ ადგილზე არ მიდის, რაც ცხადია, იწყვევს იზენგრინის მრისხანებას. რადგან პირადი შურისძიება ჩაუფლავდა, მგელი გაიზიარებს მისი მეუღლის აზრს და საჩივარს შეიტანს მეფის კარზე.

[...] ძვირფასო და კეთილშობილო მეფეო,
 გთხოვ სამართალს მრუშობაზე,
 რომელიც რენარმა ჩაიდინა ჩემს ცოლ და ქალბატონ
 ჰერსანტთან ერთად, როდესაც ის ჩაკეტა
 მოპერტუისში, თავის სახლში,
 რათა მასზე ეძალადა
 და რათა მოეშარდა ჩემს ყველა ლეკვზე:
 ეს ყველაზე ახლადჩადენილია მისი შეურაცხყოფებიდან.
 რენარმა დათქვა თარიღი, რათა ფიცი დაედო,
 რომ მას არ ჩაუდენია მრუშობა,
 როდესაც მოიტანეს წმინდა ნაწილები,
 არ ვიცი ვისი რჩევით,
 ის გაიპარა მოულოდნელად [...]»¹¹.

შევაჯამოთ: სასიყვარულო ურთიერთობა ძუ მგელთან (რომელიც, მთარული ჭორის მიხედვით; ამაზე თანახმა იყო) წარმოადგენს მრუშობის დანაშაულს; ლეკვებზე მოშარდვა უფრო ამძიმებს მგლის და მისი გვარის შეურაცხყოფას, რადგან ნიშნავს მისი ტერიტორიის მითვისებას და აძლიერებს ეჭვს დანაშაულებრივ კავშირზე რენარსა და ჰერსანტს შორის. სოროს შესასვლელში მომხდარი გაუპატიურება მოთხრობილია ხელნაწერ C-ს ტოტ 1-ში («რენარის ბავშვობა»), მაშინ როდესაც ხელნაწერ A-ს ტოტ I-ში, რომლის საფუძველზეც შესრულებულია ის გამოცემა, რომელსაც მე ვიყენებ წინამდებარე სტატიაში, იზენგრინი მხოლოდ გაკვრით მოიხსენიებს გაუპატიურებას

11. «*Baux gentix sire, Car me fait droit de l'avoutire Que Renart fist a m'espossee Dame Hersent, quant l'ot serree A Malpertuis en son repere, Quant il a force li volt faire, Et compissa toz mes lovaux: C'est li dels qui plus m'est noveax. Renart prist jor de l'escondire Qu'il n'avoit fet tel avoutire. Quant li seint furent aporté, Ne sai qui li out enorté, Si se retrest molt tost arere*[...]» (Dufournet, Méline., v. 29-41).

და მის ადგილად უთითებს მოპერტუის, რენარის სოროს. მგელი ორჯერ იყენებს სიტყვა «მრუშობას» (*avoutire*) და აზუსტებს, რომ მელამ ძუ მგელზე იძალადა; მამასადაძამე, ერთადერთი პასუხისმგებელი არის რენარი და ქმარი თავის ცოლს საჯაროდ ბრალს არ სდებს. შეურაცხყოფა გასარჩევია მამაკაცთა შორის. როჟე ბელონი (Roger Bellon)¹² წერს: «იმ პერიოდში გაუპატიურება ითვლებოდა ქმრის და მთლიანად გვარის ღირსების შელახვად [...]». გაუპატიურებული ცოლის ბედით იზენგრინი არ ინტერესდება, რადგან მხოლოდ თვითონაა ღირსებაშელახული. მეფის კარზე სასამართლო იმართება: «რენარის მიერ ჩადენილი უზომო გარყვნილების შესახებ» (*De la grant fornicacion / Que Renart fist [...]*, v. 8-9), ანუ მრუშობის შესახებ, რადგან რენარის დანაშაული მდგომარეობდა ქმრიანი ქალის გაუპატიურებაში. მეფის სამართალთან ერთად ეკლესიაც გმობს მრუშობას («არა იმრუშო», ათი მცნება). ამიტომ, მეფის კარზე რენარის მრუშობის წინააღმდეგ საჩივრის შემტან იზენგრინს თავის სასარგებლო სასამართლო გადაწყვეტილების იმედი აქვს. ტოტ 1-ის დაწერის ეპოქაში ეკლესია და მეფის ხელისუფლება ცდილობდნენ, შეეზღუდათ შიდა ომები, რომელთაც შემდეგ გაუთავებელი შურისძიებები მოჰყვებოდა. მეფე ნობლის სამსჯავროსადმი მიმართვით იზენგრინი გარკვეულწილად სამართლის პატივისმცემელ სენიორად წარმოჩნდება. იმ პერიოდის ჩვეულებითი სამართლის კრებულებთან შედარება აჩვენებს, რომ *მელას რომანის* ავტორები და განსაკუთრებით ხელნაწერ A-ს ტოტ 1-ის ავტორი, არ იგონებენ ახალ სამართლებრივ პროცედურებს¹³; ისინი სრულ თანხმობაში არიან ბრალდების ყველა განსაზღვრებასთან. მრუშობის დანაშაულის თაობაზე საჩივრის წარმოდგენის შემდეგ შესაბამისად იწყება სამართლებრივი ქმედებები.

როგორია საქმის მიმდინარეობა? პირველ ეტაპზე საჭიროა საჩივრის შეტანა: იზენგრინი ამხელს რენარის მრუშობას, ქმედებას, რომელიც მეფის სამართლის მიერ დანაშაულად არის მიჩნეული. მაგრამ მეფის პირველი რეაქციაა, რომ მგელს სიბრძნისაკენ მოუწოდოს:

იზენგრინ, უარი თქვით ამ სასამართლოზე.

12. იხ. გვ. 1476, გამოცემა A. Strubel (შენიშვნა 1), სიტყვა «guerre» (ომი) განმარტებებში. იხ. ასევე სტატია Rieger, «Le motif du viol dans la littérature de la France médiévale entre norme courtoise et réalité courtoise», p. 241-267; განს. გვ. 264: «რენარის ქმედება არის ქმრიანი ქალის გაუპატიურება, მაგრამ შუასაუკუნეებში დანაშაულს, როგორც ასეთს, წარმოადგენს მრუშობა»; და ასევე Rouche, *Marriage et sexualité au Moyen Âge*.

13. სკრუპულოზული შედარება მოახდინა ჟან სუბრენამ (Jean Subrenat) თავის სტატიაში «La justice dans le Roman de Renart», p. 239-292.

ვერავითარ მოგებას ნახავთ,
 მხოლოდ ყველას მოაგონებთ თქვენს უბედურებას.
 დიდად გულუბრყვილონი არიან მეფეები და თავადები,
 და ისინი, ვინც დიდ კრებებს აწყობენ –
 მათ ადგამენ რქებს ჩვენს დროში.
 ასეთი მცირე ზიანისაგან
 არასდროს შობილა ამდენი მწუხარება და მრისხანება.
 დამიჯერეთ, ამგარ საქმეებში
 სჯობს გაჩუმება¹⁴.

მეფე ამცირებს მრუშობის მნიშვნელობას იმდენად, რომ მას «მცირე ზიანს» უწოდებს. დათვი ბრენი (Brun) მყისიერად აკრიტიკებს მას და შეახსენებს, რომ მეფის ძალაუფლებაშია მშვიდობის დამყარება: «მაგრამ თქვენ ხართ ამ მიწის სუვერენი / თქვენ ვალდებული ხართ, დაამყაროთ მშვიდობა ამ ომში!» (*Mes vos estes prince de terre; / Si metés pes en ceste guerre!*, v. 65-66). მეფე აგვიანებს სამართლის აღსრულების შესახებ დათვის თხოვნის გათვალისწინებას და იმედოვნებს, რომ მშვიდობა თავისით დამყარდება. სანამ ლომი სამართლიანი მეფის როლს მოირგებს, საჭიროა რომ მრავალმა მრჩეველმა წარმოთქვას სიტყვა: ხარი ბრუიანი (Bruyant) მკვეთრად და მძაფრად დგება იზენგრინის მხარეს და მას უფრო მეტად პირადი შურისძიებისკენ უბიძგებს, ვიდრე სასამართლოსკენ. მაჩვი გრიმბერი (Grimbert) ბრალს სდებს ჰერსანტს, ხოლო ვირი ბერნარი (Bernard) იცავს ძუ მეგლს; საბოლოოდ, კრება მოითხოვს რენარის დასჯას თუ ის არ წარსდგება მეფის კარის წინაშე. სწორედ ამ დროს მეფე შეახსენებს, რომ მართალია შეუძლებელია სამართლებრივი პროცედურის თავიდან აცდენა, მაგრამ მოუწოდებს იმ პერიოდისათვის თითქმის მთლიანად გამქრალი სასამართლო პრაქტიკის – ორდალიის გამართვისაკენ. ჰერსანტმა უკვე მოითხოვა ამგვარი გამოცდის გავლა, თვით რენარმა შესთავაზა, რომ საკუთარი უდანაშაულობის დასამტკიცებლად წმინდა ნაწილებზე დაიფიცავდა. როგორც ერთი, ისევე მეორე «გამოსავალი» აცდენილია იმ პერიოდში არსებულ სამართლებრივ ნორმებს. ამით ავტორი ამხელს რენარის და ჰერსანტის ცბიერებას. ისინი უპირისპირებენ ძველ ჩვეულებას იმ სამართლებრივ ნორმებს, რომლებსაც მეფე უნდა იცავდეს. ამგვარად,

14. *Ysengrin, leissiez ce ester. / Vos n'i poés rien conquerer, / Ainz ramentevez vostre honte. / Musart sont li roi et li conte, / Et cil qui tiennent les granz corz / Devient cop, hui est li jorz. / Onques de si petit damage / Ne fu tel duel ne si grant rage. / Tele est cele ovre a escient / Que li parlers n'i vaut noient.* (Dufournet, Méline., v. 45-54).

თითქოს მეფის პერსონაჟი გაუფასურებული ჩანს; იქნებ ის სუსტია¹⁵, ცდილობს დრო მოიგოს, ისარგებლოს ჩვეულებითი სამართლის ძალით? ამავე დროს, ავტორი ხაზს უსვამს ლომ ნობლის ძალისხმევას, რათა არ «გაყალბდეს რენარის სასამართლო» (*forjurer*, ტაეპი 229), მას არ დაედოს ბრალი სათანადო მტკიცებულების გარეშე, რადგან მრუშობის სანდო მოწმეები არ არიან; არც ჰერსანტს და არც ლეკვეებს შეუძლიათ მოწმედ ყოფნა. ორდალიის მოწყობა მგლისათვის მიუღებელია¹⁶; გაცოფებული, ის უარყოფს ასეთ გამოცდას და აცხადებს, რომ პირადად, მარტო იძიებს შურს. ამით მგელი განარისხებს მეფეს, რომელიც არის სამართლის და მშვიდობის მცველი:

ემმაკმა დალახვროს, უფალო იზენგრინ,
 თქვენ ისევ საომრად ხართ განწყობილი?
 [...] მშვიდობა გამოცხადებულია,
 მან სიწყნარე დაუბრუნა სამეფოს.
 ვინც დაარღვევს კანონს, თუ დაიჭირეს,
 დიდი განსაცდელი დაატყდება¹⁷.

სამეფო კარის სასამართლოს კანონიერი პროცედურა ჩანაცვლებულია მეფის სურვილით, რომ შეარიგოს ორი სენიორი.

ამგვარად, ერთის მხრივ მრუშობის დანაშაული თითქოსდა მინიმიზირებულია, დაყვანილია ჩვეულებრივ, პირად პრობლემამდე, რომელიც შურისძიების გარეშე უნდა მოგვარდეს, რათა ზიანი არ მიადგეს სამეფოში მშვიდობას, ხოლო მეორეს მხრივ, თითქოსდა აუცილებელი პირობაა სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისობა იურიდიულ ნორმასთან.

ამიტომაც, მეფე მრუშობის საქმეზე საუბრობს ორდალიის უძველეს პრაქტიკაზე, რაც მკითხველს და მსმენელს ახსენებს იმ ორდალიას, რომელიც იზოლდამ (*ტრისტანი და იზოლდა*, დაწერილი 1170 წელს) წარმატებით გაიარა, ისარგებლა რა ენობრივი ორაზროვნებით:

15. ამ სამეფო პერსონაჟში ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ მინიშნება მეფე ლუი VII-ის პიროვნებაზე. სწორედ ის მეფობდა 1179 წელს; მან სამეფოში მშვიდობა 1155 წელს გამოაცხადა.

16. იზენგრინს სავარაუდოდ ემინია, რომ ორდალია მისი მეუღლის ღალატს გამოააშკარავებს. ეს შიში, ან რწმენა, მას წარმოადგენს ძველი ჩვეულებების (ორდალია, პირადი შურისძიება) მიმდევარ რაინდად. გავისხენოთ, რომ სწორედ ჰერსანტი აიძულებს მას; საჩივარი შეიტანოს იმ პერიოდში ძალაში მყოფი სამართლის ნორმების მიხედვით.

17. *Por le cuer bé, sire Ysengrin, /Prendra ja vostre guerre fin? / [...] est la pes juree / Dont la terre est aseüree; / Qui ja l'enfendra, s'il est tenuz, /Molt mal li sera avenuz.* (Dufournet, Méline., v. 255-6 et 263-6).

სიტყვები ზუსტი იყო, ხოლო ფაქტები სრულიად ყალბი. იზოლდა მეფე მარკის ცოლი და ტრისტანის საყვარელი იყო. ის მრუშობაში დაადანაშაულეს და ორდალიის გავლა მოსთხოვეს. ორდალიამდე იზოლდამ დაიფიცა, რომ არც ერთი მამაკაცი არასოდეს არ იმყოფებოდა მის თეძოებს შორის, გარდა მისი ქმრისა და ერთი სხვა მამაკაცისა, რომელმაც კისერზე შეისვა რათა მდინარეზე გადაეყვანა. რა თქმა უნდა, ეს უკანასკნელი გადაცმული ტრისტანი იყო.

მის მსგავსად, ჰერსანტი არც ისე უდანაშაულოა, როგორადაც სურს თავის წარმოჩენა და მხოლოდ ვირ ბერნარს სჯერა მისი თავისმართლების გულწრფელობის. როდესაც ძუ მგელი მზადყოფნას გამოთქვამს, რომ წარმოთქვას განმწმენდელი ფიცი და ორდალია გაიაროს, ის ჰვიცავს, რომ რენარის ქმედებები მის მიმართ უმწიკვლოა; უპირველეს ყოვლისა ჰერსანტი ამბობს, რომ რენარს მისთვის ისეთი არაფერი გაუკეთებია, რასაც მელა საკუთარ დედას არ გაუკეთებდა.

ყველა წმინდანის სახელით, რომლებსაც თაყვანს ვცემთ,
ისეთივე ჭეშმარიტებაა, როგორც ვსასობე უფლის მფარველობას,
ვფიცავ, რომ რენარს არასოდეს უქნია ჩემთვის ისეთი რამ,
რასაც დედამისს არ უზამდა¹⁸.

ჰერსანტი, რომელიც კარგად იცნობს რენარს, თავისუფლად უშვებს, რომ მელას, შესაძლებელია, ჰქონდეს ინცესტური ურთიერთობა დედასთან, ხოლო სამეფო კარის სასამართლოს წევრებს კი შესაძლოა, ეფიქრათ, რომ რენარი კარგად მოიქცა. შემდეგ ჰერსანტი ირწმუნება, რომ მისი საკუთარი საქციელიც შეიძლება შევადაროთ მონაზონის საქციელს:

არასოდეს, ვფიცავ ჩემს რწმენას წმინდა მარიამისას,
მე არ მივცემივარ ჩემი სხეულით გარყვნილებას
და არც თავაშვებულობას და არც ისეთ რაიმეს
რაც მონაზონს არ შეუძლია ქნას¹⁹.

ორაზროვანია სწორედ ის გარემოება, რომ ერთნი ფიქრობენ მონაზონთა მაღალ ზნეობაზე, ხოლო მეორენი კი ისეთ ზნეობაზე, რომელიც ხანდახან ეწინააღმდეგება უბიწოების იმ აღთქმას, რომელსაც მონაზვნები აღკვეცისას დებენ. ამგვარად, ჰერსანტს შეეძლო, თავი უდანაშაულოდ წარმოეჩინა მართალი გულების წინაშე. საქმე ამით დამთავრდებოდა, რენარის წინააღმდეგ ახალი, სულ სხვა ბრალდება

18. *Par trestoz les sainz qu'on aore, / Ne se Damledex me secore, / C'onques Renart de moi ne fist / Que de sa mere ne feïst* (Dufournet, Méline., v. 147-50).

19. *Onc, foi que doi sainte Marie, / Ne fis de mon cors puterie / Ne mesfet ne maveis afere / Qu'une none ne poïst fere* (Dufournet, Méline., v. 175-8).

რომ არ წამოეყენებინათ: დანაშაულები, რომლებიც მან ყველას დასანახად ჩაიდინა საქათმეში.

სიტუაცია გაამწვავა მამალ შანტეკლერისა და მასთან ერთად ოთხი დედლის მოსვლამ, რომელთაც მეფის კარზე დასაბუთებული საჩივარი წარადგინეს. საკაცებზე დასვენებული, მელას მიერ დაგლეჯილი ერთ-ერთი დედლის, კუპეს (Coupée) დანახვისას მეფე აღშფოთდა. სიბრალულისა და მრისხანებისაგან ლომმა დაიღრიალა. რენარი დამნაშავეა მკვლელობასა და კანონის დარღვევაში (*omecide et desroi*, ტაევი 377). ათი მცნების ჩამონათვალში მკვლელობის დანაშაული («არა კაც კლა») მრუშობაზე ადრე მოიხსენიება. იზენგრინმა მხარი დაუჭირა მამლის საჩივარს. მაშინ მეფემ საჯაროდ დასდო ბრალი რენარს და ბრძანა, რომ ის სამეფო კარის წინაშე მოეგვარათ. რენარის მიმართ ბრალდებები მრავლდება: «მე მას ბრალს ვდებ, მთელი იმ დიდებულებით, რომელიც ადათის მიხედვით მეკუთვნის, / მრუშობაში, უტიფრობაში, / მეფის შეურაცხყოფაში, / მშვიდობის დარღვევაში»²⁰.

ახლა უკვე შესაძლებელია რენარის გასამართლება. ბრალდებულის უფლებები სრულადაა დაცული, მოწმეები ობიექტურები არიან და ამიტომ მათი მოწმობები სამართლებრივად მისაღებია. სიუჟეტის ეს ახალი განვითარება წარმოაჩენს, თუ რა რთული იყო სამართლის ნორმების მიხედვით რენარის სამართალში მიცემა, როდესაც ბრალდება ეყრდნობოდა მხოლოდ შეურაცხყოფილი სენიორის საჩივარს, რომელიც მეფის წინაშე წარსდგა დანაშაულის სათანადო მტკიცებულების და სამართლებრივად მისაღები მოწმეების გარეშე. არ მომხდარა დანაშაულზე წასწრება, რომელიც ცხადად წარმოაჩენდა რენარს დამნაშავედ. მრუშობის საქმეზე მეფეს სურდა სასამართლო შეცდომის თავიდან აცილება. მეფის ფიგურა, რომელიც «სამართლის სათანადო მოქმედების გარანტია»²¹, ამ სიტუაციიდან უფრო ძლიერი გამოდის. მაჩვ გრინბერს დაევალა რენარის მეფის კარზე მოგვრა, სადაც მას ყველა დაძაბული ელოდა. რენარი საკუთარი თავის დაცვის გრძელ სიტყვას იწყებს მის მიერ მეფისათვის სამსახურის გაწევის ფაქტებით და შურიანების მხილებით. ის ეჭვქვეშ აყენებს საკუთარ პასუხისმგებლობას იმ ზიანისათვის, რომელიც მიადგა დათვ ბრენს და კატა ტიბერს (Tibert) (მან უბრალოდ გამოიყენა მათი ლორმუცელობა მათ ხაფანგში გასაბმელად და ამისთვის საყვედური არ ეკუთვნის). შემდეგ რენარი მიადგა იზენგრინის მიერ შემოტანილ საჩივარს:

20. *Me plein, si con je fere sueil, /Del avoltire et del orgueil / Et de la honte qu'il m'a fete, / Et de la pes qu'il a enfrete.* (Dufournet, Méline., v. 393-6).

21. Roger Bellon, გვ. 1485, გამოცემა A. Strubel (შენიშვნა 1), სიტყვის «Noble» (ნობლი) განმარტებებში.

არც კი ვიცი რა ვთქვა იზენგრინის შესახებ.
ის არ ცდება, როდესაც აცხადებს,
რომ მე მიყვარდა მისი ცოლი.
და თუკი მისი ცოლი არ ჩივის,
მაშინ რატომ ვარ ცუდი საყვარელი ჩემი ქალბატონისთვის?
ეს გიჟი ეჭვიანი შურით კვდება:
განა ეს არის მიზეზი რომ ჩამომახრჩოთ?²²

როგორც საკუთარი თავის ადვოკატი, რენარი მრუშობის ბრალს აღიარებს, მაგრამ არაფერს ამბობს არა მხოლოდ სავარაუდო გაუპატიურებაზე, არამედ კუპეს მკვლელობაზეც კი. ამგვარად რენარმა იზენგრინს ისევ მოარგო მოტყუებული ქმრის როლი, ხოლო ჰერსანტის რეპუტაცია მას მცირედითაც არ ალღევებს. დავა რჩება მამაკაცებს შორის და რენარი დიდ სიამოვნებას იღებს თავისი მოწინააღმდეგის სახალხოდ დამცირებით. მელამ ისევ გამოხატა ერთგულება მეფისადმი და საკუთარი დიდი ასაკით თავის მოკატუნება დაიწყო: «მოხუცი ვარ, ძალა უკვე აღარა მაქვს» (*Vels sui, si ne me puis aidier*, ტ. 1267). მეფე არ მოტყუვდა, იურიდიული მანქანა თავის გზას აგრძელებს:

აჰ! თქვენ საკმაოდ გრძელი ენა გაქვთ და კარგადაც იცავთ თავს,
მაგრამ რაში გარგიათ? ტყუილად ირჯებით,
სხვას არაფერს ელოდოთ
თუ არა ჩემი სამართლის სიმკაცრეს²³.

სამართალი წესების მიხედვით აღსრულდება: დადგება განაჩენი (*juise*, v. 1294), მეფის კარი აღასრულებს სამართალს (*jugeront mi baron*, v. 1295).

მეფის მრჩევლებმა აიღეს სიტყვა: გრიმბერი კანონის დაცვისაკენ მოუწოდებს, «ბრალდებული უნდა განისაჯოს სამართლიანად და სამართლის მიხედვით» (*par loi et par jugement*, v. 1306); ბრალდებულს საშუალება უნდა მიეცეთ, «თავი დაიცვას კანონიერი პროცედურების მიხედვით თქვენი კარის ღია სასამართლოზე» (*A respondre par jugement / En vostre cort, voiant la gent*, v. 1311-12).

განაჩენი დადგა. რენარს ჩამოახრჩობენ. მეფე დაეთანხმა განაჩენს. აღმართეს სახრჩობელა, მაგრამ სიკვდილის დასჯის სანაცვლოდ რენარი ალუთქვამს, რომ ჯვრიან მოსასხამს შეიმოსავს და პილიგრიმად

22. *D'ysengrin ne sa ge que dire, /Que il n'a mie tort del dire / Que j'avoie sa feme amee. /Et quant ele ne s'est chamee, / Sui je lecheres de m'amie? / Li fox jalox en a envie: / Est por ce drois que l'en me pende?* (Dufournet, Méline, v.1253-9).

23. *Bien savés parler et plaidier: / Mes ce que vaut? ce n'a mestier. / N'en partirés en nule guise / Que de vos ne fache justice.* (Dufournet, Méline., v.1285-98).

წავა იერუსალიმში. გრიმბერი კიდევ ერთხელ მხარს უჭერს მელას. მეფე გამოთქვამს თანხმობას ერთი პირობით: «აილოს ჯვარი, ოლონდ, იქ დარჩეს» (*Et il la pregne / Par tel convent que la remaigne*, v. 1413-14).

მართალია, მელა ყოველთვის უნდა გადაურჩეს სიკვდილს, რათა სულ ახალ და ახალ თავგადასავლებში გამოჩნდეს²⁴, მაგრამ ამ ნარატიული ხერხის მიუხედავად, ცხადადაა ნაჩვენები, რომ ლიტერატურული ტექსტი არანაირად არ არღვევს შუა საუკუნეების სამართლის წესებს, რომლებსაც წარმოგვიდგენს და მხარს უჭერს ავტორი. როგორც კი დანაშაული ფიქსირდება, სამართლებრივი პროცედურის მიმდინარეობა ზედმიწევნითაა დაცული. მკითხველისათვის ნათელია მოცემული პერიოდის ახალი იურიდიული რეალობის სურათი, რომელიც პრაქტიკაში ნელ-ნელა ანაცვლებს ძველს. ზუსტად ამ შეფარული თანამოაზრეობის შემდეგ მყარდება ავტორსა და მკითხველს შორის მხიარული თანხმობა. ერთნი მელას რომანს სატირად თვლიან, ხოლო მეორენი – პაროდიად. დომინიკ ბუტე (Dominique Boutet)²⁵ ამ უკანასკნელთ ეთანხმება: «სწორედ პაროდიასთან გვაქვს საქმე, როგორც კი ხდება ადამიანების როლის ცხოველურობის რეგისტრში ტრანსპოზიცია. ეს აუცილებლად სატირას არ ნიშნავს», და ის დასძინს: «ეს ყველაფერი სრულიადაც არ გადის იმ ჟანრის – რიდენდას (*ridenda*), ანუ სასაცილო ამბების – ჩარჩოებიდან, რომელსაც ეკუთვნის მელას რომანის დიდი ნაწილი. სასაცილოა ადამიანებისა და ცხოველებისგან შემდგარი ეს უცნაური საზოგადოება, სადაც ცხოველები ადამიანებად გადაიქცევიან, ხოლო ადამიანები – ცხოველებივით იქცევიან». მაგრამ მოთხრობებში აღწერილ ამ «ამოტრიალებულ სამყაროში» ცხოველები რაინდები არიან, ხოლო პერსონაჟები, რომლებსაც მხოლოდ ადამიანების როლი აქვთ – ბურჟუები და გლეხები. სამართლებრივი ნორმები ძირითადად ეხება რაინდულ მაღალ საზოგადოებას²⁶ და სამართლებრივი პროცედურები მიმდინარეობს მეფე ლომ ნობლის სამეფო კარზე. მელას რომანის ავტორების და განსაკუთრებით ტოტი I-ის ავტორის დამოკიდებულება სასამართლო დავების მიმართ საკმაოდ კრიტიკულია. «რენარის გასამართლების» ეპიზოდში, მომჩივანი იზენგრინი არ არის დაკმაყოფილებული; პირიქით, ის ყოველთვის გამასხარავებულია. მრუშობის საქმეში ყველა ცდილობს მხოლოდ რენარის გამართლებას. მკვლელობის საქმეში ჩამოხრჩობით

24. იხ.: Bellon, «La justice dans le *Roman de Renart*: procédures judiciaires et procédés narratifs», 79-95 და Sheidegger, «Les jugements de Renart: impunités et structure romanesque», 333-48.

25. იხ. გვ. 920 Ia ტოტის შენიშვნა, ა. სტრიუბელის (Strubel) გამოცემა (იხ. შენიშვნა 1).

26. იხ. დ. რიგერის (D. Rieger) სტატია, შენიშვნა 10.

დასჯას ცვლიან თავად დამნაშავის მიერ შემოთავაზებული სასჯელით, პილიგრიმობით. მეფეს არ სურს მელას დაბრუნება, რადგან ნაკლებად სჯერა რენარის პილიგრიმობის განმწმენდელი ძალის და ფაქტიურად მას ექსორია ჰყოფს. რენარის ბრწყინვალე თავდაცვითი სიტყვა, ისევე, როგორც ჰერსანტის ორაზროვანი საუბარი, წარმოაჩენს ტოტ I-ის ავტორის გარკვეულ უნდობლობას ენის მიმართ. გაცხადებულია სამართლებრივი პროცედურის მიმდინარეობის აუცილებელი სიზუსტე, ყოველთვის საუბარია პროცედურული ნორმის შინაარსის სიტყვასიტყვით შესრულებაზე და პროცედურული ფორმის დარღვევის თავიდან აცილებაზე; მიუხედავად ამისა, პროცესის ბოლოს გაუგებრობაში ვრჩებით. განა სამართალი საბოლოოდ შეურაცხყოფილი არ რჩება? იმ პერიოდის პროცედურული რეალობების მოთხრობებში ასახვა აჩვენებს XII საუკუნის ბოლოს ახალი ღირებულებების ძიებაში მყოფი საზოგადოების წუხილებს. აქ მეფე ნათლადაა წარმოდგენილი, როგორც ვასალებს შორის მშვიდობის გარანტი, მშვიდობისა, რომელიც მას ყველა საშუალებით – შიდა ომების და პირადი შურისძიებების აკრძალვით – სურს შეინარჩუნოს, რათა გააძლიეროს ის საზოგადოება, რომელსაც მართავს. მაგრამ მას უჭირს სამართლის უზენაესობის განმტკიცება. მანიპულატორი და უტიფარი რენარი ყოველთვის გამარჯვებულია. თუმცა, იმდენად მისი გამარჯვებები კი არ გვაცინებს, რამდენადაც მისი ეშმაკობები და ინტრიგები, რომელთაც განმუხტველი ეფექტი აქვთ. მართლაც, რენარი ხშირად აბრიყვებს იმ არსებებს, რომელთა მანკიერებები და ვნებები ზიანს აყენებენ საზოგადოებრივ ცხოვრებას. ამ მოსაზრების გათვალისწინებით გაბრიელ ბიანჩიოტო წერს:

რენარი, ეს მატყუარა, საბოლოოდ მოთხრობაში პარადოქსალურად ერთადერთია, ვინც იწვევს მკითხველის სიმპათიას. შეიძლება ითქვას, რომ მისი პერსონაჟის მრავალ გამონახტულებათა შორის, ის ამავედროულად წარმოჩინდება სუსტების წარმომადგენლის და გამართლების უხეირო სიმბოლოდ; იმათი, რომელთა იარაღი მხოლოდ ჭკუა და გამჭრიახობაა, რათა ხანდახან მაინც გაიმარჯვონ ძალაუფლების მფლობელებზე. (Bianciotto, *Introduction*, in Fukumoto et al. 47)

ლიტერატურა წარმოსახვას უხსნის კარს. შუასაუკუნეებში მცხოვრებმა მკითხველებმა ეს იცოდნენ ისევე, როგორც ჩვენ. ლიტერატურა კარს უხსნის აგრეთვე აზროვნებას, ქმედებას, უმჯობეს არსებობასა და უმჯობეს ცხოვრებას; ეს ხდება *მელას რომანშიც*, ყოველგვარი ზნეობრივი დიდაქტიკურობის გარეშე.